პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 19 ივნისი, 1943 წ. № 131 (6756). ფასი 20 კაპ.

გრაფიკის მიხედვით რიტმული მუშაობა რკინისებური კანონია

წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლება, გრაფიკის მიხედვით რიტმული მუშაობა და ეერიშობანის აღკვეთა თითოეულ საწარმოს საშუალებას აძლევს არა მარტო გაადიდოს პროდუქციის რაოდენობა, არამედ უზრუნველჰყოს მისი მაღალი ხარისხიც.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავდენ და ზრუნავენ წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. ახლა, გერმანელ ფაშისტ ავანტიურისტთა წინააღმდეგ დიდი სამამული ომის გადამწყვეტ მომენტში, როცა წითელი არმია სულ უფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს თვითმფრინავებს, ტანკებს, საომარ მასალებს, ჩაცმულობას, სურსათს, როცა სოციალისტური მრეწველობის, მისი საწარმოების წინაშე დგას ამოცანა — ყოველმხრივ უზრუნველჰყონ ფრონტისა და ჩვენი ქვეყნის საჭიროებანი, წარმოების კულტურის ამაღლების, გრაფიკის მიხედვით რიტმული მუშაობის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციამ დაჭიმმო ეერიშობანა, პროდუქციის არათანაბარი გამოშვება, ვინაიდან იგი აფიდებს წუნს, იწვევს უნაყოფო გადახარჯვებს, მოწყობილობის მოცდენას, ჰქმნის მუშაობის არასწორ რეჟიმს და, რაც მთავარია, საწარმოს აყენებს სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობის მუდმივი საფრთხის წინაშე. გასაგებია, რომ ეერიშობანა განსაკუთრებით დასაგმობია ახლა, ომის დღეებში, როცა პროდუქციის დიდი რაოდენობა და მაღალი ხარისხით გამოშვება უშუალოდ უკავშირდება ფრონტის ინტერესებს.

ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები ომიანობის დროის ტემპებით მუშაობენ რიტმულად, წინასწარ შედგენილი სადღეღამისო გრაფიკის მიხედვით. ბევრმა მათგანმა გვიჩვენა საუკეთესო ნიმუშები იმისა, თუ როგორ შეიძლება ეერიშობანის აღკვეთილი, უფუსფუსოდ, გეგმა შეასრულო **ყოველდღე.** მაგალითად, რიტმულად, გრაფიკის მიხედვით მუშაობენ ზაჰესი, რონჰესი, აწჰესი, რომლებიც მიმდინარე თვეში ყოველდღიურ გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ. წარმატებით მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქრო, რომელსაც სტალინური პრემიის ლაურეატები გიორგი სიორიძე და რაფიელ აგლაძე ხელმძღვანელობენ. ამ საამქრომ 5 ივნისისათვის უკვე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. აი რა შეუძლია რიტმულ მუშაობას!

მაგრამ არიან ისეთი საწარმოებიც, სადაც გრაფიკი ჯერ კიდევ არ დანერგილა მთელი თავისი უფლებით. ასეთ საწარმოებში, ფაბრიკაა ის თუ ქარხანა, მაღაროა თუ შახტი, კვლავ ადგილი აქვს ეერიშობანას, პროდუქციის არათანაბარ გამოშვებას. სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა (დირექტორი ვ. სალუქვაძე, პარტიიუროს მდივანი დ. ჭედია), რომელმაც მაისის გეგმა ვერ შეასრულა, ეერიშობანას განაგრძობს, მისი ხელმძღვანელები კი სათანადოდ არ ზრუნავენ რიტმული, გრაფიკით მუშაობის დანერგვისათვის. ისინი სრული დატვირთვით ვერ იყენებენ მუშახელს და ამავე დროს სუსტად მუშაობენ ფაბრიკაში ახალმოსულებთან.

15 ივნისს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ მოწვეულ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა საქალაქო თათბირზე, მიღწევებთან ერთად, გამოირკვა გრაფიკის დარღვევის, პროდუქციის არათანაბარი გამოშვების, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმისადმი არასაკმაო ზრუნვის ზოგიერთი საგულისხმო ფაქტები. თათბირზე აღინიშნა, რომ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში კვლავ ადგილი აქვს ეერიშობანას, მაგალითად, საქტრიკოტაჟის ფაბრიკამ მაისის პირველი დეკადის გეგმა 60 პროცენტით შეასრულა, მეორე დეკადის—40 პროცენტით, ხოლო მესამე დეკადაში მიაღწია გეგმის 230 პროცენტით შესრულებას, რათა საბოლოოდ თვის გეგმა შესრულებული ჰქონოდა.

ეერიშობანა მუშაობის არასწორი რეჟიმია, საწარმოს დაძაბულ მდგომარეობაში აყენებს, იგი ძლიერ აფერხებს ან სრულიად სწყვეტს, მოსამზადებელ მუშაობას, რაც შემდეგ იწვევს გეგმის შეუსრულებლობას. ამიტომ საწარმოთა ხელმძღვანელების, პარტიული. ორგანიზაციების წინაშე დგას ამოცანა: უზრუნველჰყონ გრაფიკის მიხედვით რიტმული მუშაობა, რაც ახლა რკინის კანონს წარმოადგენს. მათ აგრეთვე უნდა იბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის და ამასთან ერთად ფართოდ დანერგონ სხვა მოწინავე საწარმოთა ძვირფასი გამოცდილება ომის დღეებში. მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის თაოსნობით დაწყებული **ნაკადური წარმოება,** ნაკადური სისტემა, რომელიც მტკიცე საფუძველს უქმნის რიტმულ მუშაობას და მაგრად ურტყამს კუსტარშჩინას, ჩვენს მრეწველობაში ძვირფას წამოწყებას წარმოადგენს. საჭიროა ფართოდ დაინერგოს ეს საუცხოო საწარმოო სისტემა.

წარმატებით დავამთავროთ ივნისი, ამავე დროს ყველა პირობები შევქმნათ ივლისში უკეთესი მუშაობისათვის — არსებითად ეს იმას ნიშნავს, რომ ვიბრძოლოთ 1943 წლის პირველი ნახევრის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და მეორე ნახევარში ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. ეს აგრეთვე იმას ნიშნავს, რომ წითელი არმიის მთავარი სარდლობის განსაკუთრებულ ფონდს მივცეთ გეგმის გადამეტებით გამოშვებული პროდუქცია, გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება, მოვაახლოოთ ვერაგ მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების სასიხარულო ჟამი!

საქართველოს სსრ. წყალგუბოს რაიონი ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ანდრია ქქვთიმეს-ძე კეთილაძეს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო კეთილაძე, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

საქართველოს სსრ. წყალგუბოს რაიონი ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ენუქი ანგოზინის-ძე ფყაბლიაძეს

გმადლობთ, ამხ. ტყაბლაძე, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით

1. **ამირიძე** ნიკოლოზ არტემის-ძე—კაპიტანი
2. **ჯაფარიძე** ვიქტორ კონსტანტინეს-ძე—კაპიტანი
3. **კავლოევი** არტაშ გრიგოლის-ძე—სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი
4. **კვარაცხელია** ავთანდილ ანდრიას-ძე—კაპიტანი
5. **მაჩხანელი** არჩილ გრიგოლის-ძე—კაპიტანი
6. **ტაბიძე** კონსტანტინე პავლეს-ძე—კაპიტანი.

სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით

1. **ზარიძე** იოსებ გრიგოლის-ძე—წითელარმიელი
2. **ლომთათიძე** დავით ილიას-ძე—წითელარმიელი
3. **მემარნიშვილი** როსტომ ალექსანდრეს-ძე—უმცროსი სერჟანტი
4. **ხარებავა** პლატონ რაჟდენის-ძე—სერჟანტი
5. **დავითულიანი** შალვა ვიქტორის-ძე—უფროსი ლეიტენანტი
6. **დუმბაძე** სერგო სამსონის-ძე—უფროსი ლეიტენანტი
7. **ქიტაიშვილი** ალექსანდრე ანტონის-ძე—წითელარმიელი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. **ცხოვრებაძე** გერვასი დავითის-ძე—წითელარმიელი.

ხაშურის რაიონული პარტკონფერენცია

ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიონული კონფერენცია. საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის სანდრომო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. ა. იმნაძე, სარევიზიო კომისიის თუმანობის ანგარიში გააკეთა ამხ. ვ. ჯიქურაშვილმა.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა. პ. კუტლაშვილმა, ს. გელაშვილმა, ალ. გოგოლაძემ, მ. თომაძემ, ნ. წერეთელაშვილმა, ვლ. ლაცაბიძემ, შ. გურეშიძემ, ნ. ლაბაძემ, ე. გასიაშვილმა, კ. ნაგორნიმ, ნ. ბირკაძემ და სხვებმა—სულ 25 კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სწორად და პრაქტიკული მუშაობა დაუმტკიცა. არჩეულ იქნა რაიონული კომიტეტი 43 წევრისა და 11 კანდიდატის, შედგენილობით. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა 5 ამხანაგი.

შესდგა რაიკომის I პლენუმი, რომელმაც განიხილა საორგანიზაციო საკითხები. რაიკომის ბიუროს წევრად არჩეულ იქნა 7 ამხანაგი, კანდიდატად—2. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. იმნაძე, მეორე მდივნად ამხ. გრ. ცუცქირიძე და მდივნად კადრების დარგში—ამხ. შ. ჩიტიაშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სეს.-სამ. განყოფილების გამგემ ამხ. ს. ჭელიძემ.

ლ. კაკიაშვილი

ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს

ზესტაფონი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქრომ, რომელსაც სტალინური პრემიის ლაურეატები გიორგი სიორიძე და რაფიელ აგლაძე ხელმძღვანელობენ, 5 ივნისს შეასრულა მაღალხარისხოვანი ლიფთნის მიღების ნახევარი წლის გეგმა.

საამქროში განსაკუთრებული შრომითი აღმავლობა გამოიწვია ამხანაგ სტალინის ბრძანების დაკუშამ და ქართველ მებრძოლთა წარმატებებმა.

ამ ბრძოლებში ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ, ბევრი ენერგია ვიხარჯეთ, ბევრ ადამიანს ეფერებოდა ბედნიერება, ბევრ ადამიანს ეფერებოდა ბედნიერ ბედი

სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლი

ორდენოსანი მაიორი მ. ბალავაძე

„დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველ მებრძოლთა შორის სახელი გაითქვა მაიორმა ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ბალავაძემ. მ. ბალავაძე დაიბადა 1910 წელს სოფ. ღანირ-ქვეტირაში (წულუკიძის რაიონი) მუშის ოჯახში, თბილისში მიიღო უმაღლესი ტექნიკური განათლება ინჟინერ-მექანიკოსის ხარისხით. 1934-დან 1939 წლამდე მუშაობდა საამქროს ოსტატად თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, ხოლო შემდეგ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის უფროსად.

მ. ბალავაძე აღზრდილია კომკავშირის მიერ, რომლის რიგებშიაც იგი 1927 წელს შევიდა. 1939 წლიდან იგი საქ. კ. პ. (ბ) წევრია. 1939 წლიდან მ. ბალავაძე ხელმძღვანელი პარტიულ სამუშაოებზეა. 1940 წლამდე იგი მუშაობს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კვების მრეწველობის კადრების სექტორის გამგედ, 1940 წ. იანვრიდან აგვისტომდე—პარტიის თბილისის კომიტეტში მრეწველობის განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ, 1941 წ. ივლისამდე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში სატრანსპორტო განყოფილების გამგედ.

1941 წ. ივლისიდან მ. ბალავაძე წითელი არმიის რიგებშია და აქტიურ მონაწილეობას იღებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ფრონტზე.

1942 წ. აპრილამდე მ. ბალავაძე ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მუშაობდა არმიის პოლიტგანყოფილების უფროს ინსტრუქტორად, შემდეგ მას აწინაურებენ დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილედ, ხოლო გ. წ. ივლისიდან დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსად.

ტიხვინის მისადგომებთან გაფთრებული ბრძოლების დროს მ. ბალავაძე ფეზეზე დაიჭრა, მაგრამ სამშობლოს დამცველთა რიგები არ დაუტოვებია, განკურნებისთანავე კვლავ მწყობრში ჩადგა.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მაიორი მაქსიმე კონსტანტინეს-ძე ბალავაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ან. ზურაშვილი

გვარდიის კაპიტანი ვ. ბასილაშვილი

გვარდიის კაპიტანი ვახტანგ ალექსის-ძე ბასილაშვილი სამამულო ომის მონაწილეა მისი დაწყების პირველი დღიდანვე. მტრის წინააღმდეგ ხანგრძლივ ბრძოლებში იგი სამჯერ დაიჭრა, სამჯერვე განიკურნა და კვლავ თავის მებრძოლთა საყვარელ ოჯახს დაუბრუნდა.

გვარდიის კაპიტან ვ. ბასილაშვილის მკერდს ახლა ორი ორდენი ამშვენებს. გერმანელ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის მას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, ბრძანებულებით, გასული წლის 6 სექტემბერს გადასცეს მთავრობის უმაღლესი ჯილდო წითელი დროშის ორდენი.

მაშინ ამხ. ბასილაშვილს გვარდიის უფროსი ლეიტენანტის წოდება ჰქონდა. მთავრობის ჯილდოს მისაღებად წარდგენილ მის საბრძოლო დახასიათებაში ჩაწერილია:

„მტრის სატანკო შემოტევისას, რომელშიც მონაწილეობდა ჰიტლერელთა 76 ტანკი, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ვ. ა. ბასილაშვილი არ დაიბნა, მან გამომაყოვანა მეთაურის საუკეთესო თვისებები და მოახლოებულ ტანკებს გრიგალისებური სროლა აუტეხა. ბრძოლის შედეგად ბასილაშვილის ბატარიამ დასწვა და აიფეთქა მტრის 27 ტანკი, ჩასწყვიტა ათობით ჰიტლერელი ოფიცრები და ჯარისკაცები და ჩაფუშა მტრის შემოტევა“.

მეორე მაღალი ჯილდო ამხ. ვ. ბასილაშვილმა მიიღო მომდინარე წლის თებერვალში ბატაისკის აღებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის. ამ შემთხვევის შესახებ თვით ვ. ბასილაშვილი შემდეგს მოგვითხრობს:

— ამოცანა მივიღე ჩემი ბატარეით გავმაგრებულიყავ ერთ-ერთ ზღუდეზე და გზა გადმეკეტა უკანდახეული მტრისათვის. დანშნულ ადგილას მისვლისთანავე ჩემს ბატარიას მოუხდა უთანასწორო ბრძოლა მტრის ჯარბ ძალებთან. მტერმა აქაც განიზრახა ჩემი ბატარიის ლიკვიდაცია და უკან მიმავალი მათი ჯარებისათვის გზის გაწმენდა. მაგრამ ცნობილია, რომ საბჭოთა გვარდიელები მტერს ცოცხლები არასოდეს უთვარდებიან ხელში. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვეთ—ავაფეთქეთ მტრის 17 ტანკი და მინდორი მოვფინეთ ჰიტლერელ ოფიცერთა და ჯარისკაცთა გვამებით.

ამ ბრძოლაში გვარდიული ბატარიის უნარიანი მეთაურობისათვის გვარდიის უფროს ლეიტენანტ ვ. ა. ბასილაშვილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ამ წლის 16 მარტს გადასცეს სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი და მიანიჭეს გვარდიის კაპიტნის წოდება.

ვახტანგ ალექსის-ძე ბასილაშვილი დაიბადა 1916 წელს სოფ. კარდანახში (გურჯაანის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. ადგილობრივი დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისში სწავლობდა და 1932 წელს წარმატებით დაამთავრა მოზრდილთა ათწლედი. 1935 წელს ვ. ბასილაშვილი მოხალისედ შევიდა წითელი არმიის რიგებში. სადაც მან დაამთავრა მეთაურთა ერთწლიანი სამხედრო სკოლა. შემდეგ იგი გაგზავნეს საუფალო საარტილერიო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1938 წელს.

ამხ. ბასილაშვილი მონაწილეობდა მდ. ხალხინ-გოლთან გამართულ ბრძოლებში შემდეგ მონაწილეობდა თეთრფინელებთან ბრძოლებში 1939-40 წლის ზამთარში, ხოლო ამჟამად იმ გვარდიულ ნაწილშია, რომელიც წარმატებით იბრძვის ჰიტლერელ დამპყრობთა ურდოების წინააღმდეგ.

დ. ამირანიძე

კაპიტანი ნ. კახიანი

ნიკოლოზ გიორგის-ძე კახიანი დაიბადა 1910 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში. საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, სადაც დაამთავრა საშუალო მეთაურთა სკოლა 1931 წელს. 1933 წლამდე მსახურობდა მეთაურად. 1934 წელს დაიწყო მუშაობა „ზაგოტზერნოს“ სამტრედიის განყოფილებაში. 1935-დან 1940 წლამდე მუშაობს შინსახკომის ორგანოებში. 1940 წლიდან სამამულო ომის დაწყებამდე მუშაობდა ნავთლუღის ნავთის ბაზაში დირექტორის მოადგილედ. სამამულო ომის ფრონტზე იმყოფება ომის დაწყების დღიდან.

კაპიტანი კახიანი არტილერისტია. მისი ბატარიის ქვემეხები ულმობლად და მარჯვედ ურტყამენ მტერს და სპობენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ერთ-ერთი პუნქტისათვის ბრძოლაში მისმა ბატარიამ გაანადგურა მტრის რამდენიმე ათეული ჯარისკაცი.

„ახალწლის ღამეს, — მოგვითხრობს ამხ. კახიანი.—მტერმა უეცრად მთელ ხაზზე ასტეხა სროლა და აპირებდა შეტევაზე გადმოსვლას ვინაიდან მე წინადღეს უკვე კარგად მქონდა შესწავლილი და გამოანგარიშებული მტრის ყველა საცეცხლე წერტილი, ჩემი ინიციატივით დავუშინე მათ, და 27 ყუმბარით 5 წუთის განმავლობაში ჩემმა ბატარიამ ჩაახშო მტრის ინტენსიური ცეცხლი, რითაც ჩვენს ქვეითს ჯარს საშუალება მიეცა გათენებისას გადასულიყო შეტევაზე“.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის კაპიტანი ნიკოლოზ გიორგის-ძე კახიანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

კაპიტან კახიანის ბატარიის საბრძოლო ანგარიშზე ირიცხება მტრის რამდენიმე ათეული ქვეითი ჯარისკაცი, ტყვიამფრქვევები, მტრის სათვალთვალო პუნქტი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი ბატარია და სხვ.

ამხ. კახიანი ამაყობს თავისი ბატარიის მებრძოლებით და მეთაურებით. „ლეიტენანტი ალექსანდრე ივანეს-ძე ლანჩავა, — ამბობს იგი,—უზრუნველჰყოფდა ჩემს მიერ გაცემული ბრძანების შესრულებას და ზუსტად სროლას, ყუმბარების მიმწოდებელი იასონ იოსების-ძე ბერაძე შეუფერხებლად გვაწვდიდა საომარ მასალას. საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს იგი დაიჭრა. სერჟანტი ვალერიან სიკოს-ძე მსუჭნიშვილი კარგად ხელმძღვანელობდა თავის ათეულს, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, უფროსი ლეიტენანტი სოკრატ ივანეს-ძე ბიჭიკაშვილი თავისი პიროვნული მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს მტერთან საბრძოლველად“.

ამხ. კახიანი ბრძოლის ველზე დაიჭრა და ამჟამად მკურნალობს.

ნ. ილოშვილი

ორდენოსანი სერჟანტი თ. ლეგაშვილი

თედო ივანეს-ძე ლეგაშვილი დაიბადა 1908 წელს თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ოჯახის ძმიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ამხ. ლეგაშვილს არ მიეცა სწავლის მიღების შესაძლებლობა და იგი იძულებული იყო რამდენიმე წლის განმავლობაში მოჯაბაგობად ემუშავნა. 1930 წელს იგი გაიწვიეს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში, სადაც დაჰყო 1933 წლამდე. წითელ არმიაში ყოფნის დროს იგი რამდენჯერმე იყო დაჯილდოებული საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ იგი შედის კოლმეურნეობაში და მუშაობს ბრიგადირად. 1934 წელს ამხ. ლეგაშვილი, როგორც აქტიური კოლმეურნე, გაიგზავნა თელავის პარტიულ სკოლაში. 1937 წელს იგი აირჩიეს სოფელ ვარდისუბნის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. ამხ. ლეგაშვილი საქ. კ. პ. (ბ) წევრია 1932 წლიდან და აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. 1938 წელს ამხ. ლეგაშვილი არჩეულ იქნა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1942 წლის სექტემბრიდან ამხ. ლეგაშვილი გაწვეულ იქნა წითელ არმიაში და ამჟამად იბრძვის სამამულო ომის ფრონტზე.

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. სტურუამ მოქმედი არმიიდან მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერს ნ ნაწილის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, უფროსი ლეიტენანტი ამხ. ეროფეევი.

„1942 წლის სექტემბერში,—სწერს ამხ. ეროფეევი,—ჩვენს ნაწილში წითელარმიელად მოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. თედო ივანეს-ძე ლეგაშვილი საბრძოლო ოპერაციების დაწყებამდე, პოლკში სწავლების დროს ამხ. ლეგაშვილმა გამოიჩინა დისციპლინიანობა, სამსახურისადმი, იარაღისადმი, სამხედრო ქონებისადმი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. სწავლის დროს ამხ. ლეგაშვილი დახმარებას უწევდა ჩამორჩენილ ამხანაგებს. სწავლისადმი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და ამხანაგური დახმარებისათვის ამხ. ლეგაშვილი მებრძოლთა შორის სარგებლობს დიდი და დამსახურებული ავტორიტეტით და მეთაურთა პატივისცემით.

სწავლებაში მოპოვებული წარმატებისათვის სარდლობამ ამხ. ლეგაშვილი დანიშნა ათეულის მეთაურად და მიანიჭა სერჟანტის წოდება.

ჩვენი ნაწილის საბრძოლო ოპერაციების დროს ყუბანის ველზე ამხ. ლეგაშვილმა გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში თავისი ტყვიამფრქვევით მოსპო 20 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამხ. ლეგაშვილი დაიჭრა, მაგრამ ტყვიამფრქვევი არ მიატოვა და უზრუნველჰყოფდა თავისი ათეულის წინსვლას, სანამ იგი სხვა მებრძოლმა არ შესცვალა და არ დარწმუნდა, რომ მისი ტყვიამფრქვევი საიმედო ხელში იყო.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სერჟანტი თედო ივანეს-ძე ლეგაშვილი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ნაწილის სარდლობა და პარტიული ორგანიზაცია გთხოვთ მადლობა გადასცეთ საქართველოს მშრომელებს და კერძოდ თელავის რაიონის პარტორგანიზაციას, რომლებმაც ჩვენს წითელ არმიას აღუზარდეს ისეთი მამაცი, მტაცეკი და უშიშარი მეომარი, როგორიც ამხ. ლეგაშვილია.

ამხ. ლეგაშვილმა გამოიჩინა თავი როგორც ქართველი ხალხის ღირსეულმა შვილმა, წითელი არმიის გმირმა მეომარმა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ნაწილიც“.

ნ. ივანიძე

ლოცვენ ნ. ფოფხაძის დისერტაციას

ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტის ნერვიულ დაავადებათა კლინიკის მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. ნ. ფოფხაძემ ამას წინათ დაიცვა საინტერესო დისერტაცია, რომელიც ეხება ზურგის ტვინის სიმხესა და თავის ტვინის სისხლის მიმოქცევებს შორის არსებული ურთიერთკავშირის აქტუალურ პრობლემებს. დაყრდნო რა მიღებულ შედეგებს, ავტორმა კლინიკის ხელმძღვანელ პროფ. პ. სარაჯიშვილთან ერთად შეიმუშავა ზურგის ტვინის გაჩხვლეტის მეთოდიკა, რომელიც აღკვეთს სხვადასხვა გართულებას, რასაც ადგილი ჰქონდა ჩხვლეტის შემდეგ.

მოსკოვის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ამხ. ფოფხაძეს ამ თემის დამუშავებისათვის მიანიჭა სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორის მეცნიერული ხარისხი. (საქდესი).

ს. ნ. მაჭავარიანი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი

საქართველოს მედიცინა ფრონტის სამსახურში

სამამულო ომის დღეებში რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებმა და ინსტიტუტებმა ომიანობის დროის შესაფერისად გადაჰქმნეს თავიანთი მუშაობა და გააკეთეს ბევრი რამ ისეთი, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დაჭრილთა წარმატებითი მკურნალობისათვის ბრძოლის ველზე და ჰოსპიტლებში.

გამოჩენილმა აკადემიკოსმა ბერიტაშვილმა და ვისმა მოწაფეებმა ფიზიოლოგია ფრონტის სამსახურში ჩააყენეს. აკად. ბერიტაშვილის მეცნიერულმა სკოლამ საფუძვლიანად შეისწავლა ადამიანის თავის ტვინის ქერქოვანი გარსის ბიოლოგიური დენები, რამაც დიდი დახმარება გაუწია თავის ტვინის დაჭრის, ტრავმისა და კონტუზიის დიაგნოსტიკას. მრავალ საევაკუაციო ჰოსპიტალში მოწყობილია ოსცილოგრაფიული კაბინეტები.

დიდ მუშაობას აწარმოებს ის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელსაც პროფ. ა. ზურაბაშვილი ხელმძღვანელობს. ინსტიტუტმა მოაწყო ტვინში და თავის ქალას არეში დაჭრილთა მკურნალობა. აქ წარმატებით იყენებენ მკურნალობის უახლეს, მეტად ეფექტურ მეთოდებს—ფიზიოთერაპიას, ფსიქოთერაპიას და სხვ. მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებაში ნაყოფიერად მუშაობენ ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკები: ი. მენთეშაშვილი, ე. გობრონიძე, გ. ყუბანეიშვილი, ე. ნაკაშიძე, თ. შიუკაშვილი და სხვ. 24 მეცნიერულ თემას, რომელზედაც მუშაობენ ინსტიტუტის მეცნიერული ძალები, დიდი სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს. პროფ. ა. ზურაბაშვილი ამუშავებს თემას „ტრავმატული ფსიქოზების კლინიკა“ და ამასთან უმაღლესი სასწავლებლებისათვის ადგენს ორიგინალური სახელმძღვანელოს მეორე ნაწილს, რაც მეტ წილად ომის დღეებში მიღებული გამოცდილების განზოგადებას შეიცავს.

მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი უდიდეს მეცნიერულ-გამოყენებითს ჟუშაობას ეწევა. ინსტიტუტმა აითვისა ახალი ჰიდროლიზატი და წარმოებაში დანერგა სუთი დიდმნიშვნელოვანი ფაგები, როგორიც არიან: ჭრილობის სამკურნალო კომბინირებული ანაეროპიოფაგი (რომელმაც ფრონტზე ჭიმუშავე ექიმთა მაღალი შეფასება მიიღო) ტიტანუსის საწინააღმდეგო ანატოქსინი, დიზენტერიის ფაგი, ხოლერის საწინააღმდეგო ფაგი და ვაქცინა, მუცლის ტიფის საწინააღმდეგო ვაქცინა ოთხივე სახის განგრენის საწინააღმდეგო შრატი და ნრავალი სხვა. ორგზის ორდენოსანმა პროფ. წულუკიძემ გამოიმუშავა ჭრილობების და განსაკუთრებით გაზური ინფექციის სამკურნალო ბაქტერიოფაგის ეფექტური გამოყენების მეთოდი.

აღსანიშნავია მუშაობა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტიული ინსტიტუტისა, რომელმაც ომის დღეებში ბევრი ახალი მეტად ძვირფასი პრეპარატის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი აითვისა. ამჟამად ფარმაციმრეწვის თბილისის ქარხანა წარმატებით ამზადებს შემდეგ პრეპარატებს: სათითურასა და პერიპლოცინს (გულის დაავადებათა საწინააღმდეგო), ეთერს (ნარკოზისათვის), სტრეპტოციდს და სხვ. საქართველოს მთავარმა სააფთიაქო სამმართველომ (უფროსი ამხ. გელბაქიანი) აითვისა რენტგენის აფსკისა და ფოტოქაღალდის წარმოება.

სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი (დირექტორი პროფ. მუხაძე) ომის დღეებში ფრონტს უზრუნველჰყოფს დაკონსერვებული სისხლითა და შრატით პროფ. მუხაძემ ააწყო მარტივი მანქანა, რომელიც უზრუნველჰყოფს დონორისაგან აღებული სისხლის მაღალხარისხოვან დამუშავებას. დონორობა ფართოდ არის გაშლილი თვით მედმუშაკებს შორის. მაგალითად, ექიმი ქირურგი შ. თოფურია, ექიმები ვ. ჟორდანია, ო. სვეტნიკოვა და მრავალი სხვა უდიდესი ხალისით ეწევიან დონორობას.

ბევრი მნიშვნელოვანი და ახალი მეთოდი შემოიღეს პროფ. ანდღულაძემ (რევმატიზმის მკურნალობა სასანგრო პირობებში), პროფ. ერისთავმა (ვიტამინების გამოყენება ჭრილობის მკურნალობისათვის) და პროფ. ფიფიამ (ღვიძლის აბსცესების მკურნალობა). უდიდეს პრაქტიკულ დახმარებას უწევენ დაჭრილებს მკურნალ ექიმებს პროფესორები სარაჯიშვილი, ზანდუკელი ანთელავა, ზაქარაია, იოსელიანი და სხვ.

ფრონტისათვის დახმარების საქმეში გამოცდილ მეცნიერებს ახალგაზრდობაც არ ჩამორჩება. მაგალითად, დოც. ჩიქოვანმა დაამუშავა და გამოიყენა კაუზალჰიის მკურნალობის მეტად ორგანიზაციური ქირურგიული მეთოდი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამედიცინო მუშაკებში ფართოდ არის დანერგული გამომგონებლობა და რაციონალიზაცია. ექიმმა შარაშენიძემ გამოიგონა ორიგინალური კონსტრუქციის შინი, შემოიტანა კლეოლის შეცვლის წესი. ექიმმა ბაისოგოლოვმა გააკეთა სამცვლიანი ონკანი პლევრის გასარეცხად, დოც. იმერლიშვილმა და რენტგენოტექნიკოსმა გლიგენდორფმა აიწყეს მარტივი და მოხდენილი ხელსაწყო—„ვოკალიზატორი“, რაც ადვილებს ორგანიზმში უცხო სხეულის (ყლმბარის ნამსხვრევის, ტყვიის და სხვათა) აღმოჩენას. დიდ მუშაობას ეწევიან თვალის პროტეზის გაკეთების საქმეში ექიმი სემიონოვი და რენტგენოტექნიკოსი ყივი. სამედიცინო დამ ამხ. ზაზორსკაიამ შემოიტანა თაბაშირის ძველი სახვევებისა და ლანგეტების გამოყენების საკუთარი მეთოდები, რაც ამ მასალების დიდ ეკონომიას იძლევა.

გენიოსი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებული საქართველოს მედმუშაკები კიდევ მეტი, გაორკეცებული ენერგიით იმუშავებენ საზიზღარი ნტრის—გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების საბოლოო განადგურების დასაჩქარებლად.

დეპეშები

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 18 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შტაბი იუწყება, რომ 16 ივნისს ღამით „ველინგტონ“ ბომბდამშენები თავს დაესხნენ ნეაპოლის დოკებს.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ 17 ივნისის ღამის განმავლობაში ინგლისის თვითმფრინავებმა დაბომბეს მტრის აეროდრომი პუაში, ბმიენის მახლობლად. იმავე ღამეს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მიტანილი იქნა იერიში რკინიგზის ობიექტებზე, აგრეთვე კარჩაპებსა და სატორპედო კატერზე საფრანგეთის სანაპიროსთან.

საფრანგეთში შიმშილობაა

ჟენევა, 18 ივნისი (საკდესი). გერმანელთა კონტროლქვეშ არსებული ვიშის რადიო აღიარებს, რომ საფრანგეთის სასურსათო მდგომარეობა კატასტროფულია. ამას წინათ ვიშის რადიომ განაცხადა, რომ საფრანგეთი შიმშილობს. „ფრანგ ბავშვებს,—განაცხადა ვიშის რადიომიმომხილველმა, — შიმშილი მოელით“. მიმოხილვაში, რომელიც ქალაქ მონპელიეში (სამხრეთ საფრანგეთი) გადმოსცა რადიოსადგურმა, ნათქვამია, რომ გერმანელთა ოკუპაციის განმავლობაში „ხორბლის ნათესების ფართობი საფრანგეთში ერთი მილიონი ჰექტარით შემცირდა. ახლა ხორბლის მოსავალი 25 მილიონი ცენტნერით ნაკლებია ომის წინადროის მოსავალზე. მიუხედავად ამისა, საოკუპაციო ხელისუფლები ანგარიშს არ უწევენ საფრანგეთის მძიმე სასურსათო მდგომარეობას და მოითხოვენ, რომ გლეხებმა მარცვლეულის მთელი მარაგი ჩააბარონ გერმანიაში გასაგზავნად. ამასთან ისინი იმუქრებიან, რომ ფრანგ გლეხებს, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ გერმანელ ხელისუფალთა ღონისძიებებს, „ისე მოექცევიან, როგორც დეზერტირებს“.

დამარცხების მომხრეობის და ანტიფაშისტური განწყობილება იზრდებიან

სტამბოლი, 18 ივნისი (საკდესი). როგორც იტალიური ფაშისტური გაზეთი „პოპოლო დ'იტალია“ იუწყება, ქალაქ იმპერიაში (ჩრდილოეთ იტალიაში) დაპატიმრებულია საშუალო სკოლის მასწავლებელი ქალი ადელინა ბილია, რომელიც „საჯაროდ გამოსთქვამდა დამარცხების განწყობილების გამომხატველ აზრებს და რომელმაც არაერთხელ იწონასწორმეტყველა, ომი იტალიისათვის კატასტროფით დამთავრებიო“. გაზეთი აღნიშნავს, რომ დაპატიმრებული „ფართოდ იყენებდა სკოლის კათედრას თავისი ანტიფაშისტური შეხედულებების გასავრცელებლად“. გაზეთის სიტყვით, იმავე ქალაქში დაპატიმრებულია ვინმე ჯიოვანი ბატისტა „დამარცხების მომხრეობისა და ანტიფაშისტური განწყობილებისათვის“.

ანალოგიური ცნობები იტალიურ გაზეთებში თითქმის ყოველდღე თავსდება. გაზეთი „კორიერე დელა სერა“ ამას წინათ იუწყებოდა, რომ ტურინში საკონცენტრაციო ბანაკში ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს მარია კროჩეს, რომელსაც ბრალად ედება ის, რომ იგი „სისტემატიურად უგდებდა ყურს უცხოეთის რადიოგადაცემებს, აკრიტიკებდა ომის მსვლელობასა და ფაშისტურ რეჟიმს“. ანალოგიური ბრალდებით, ქალაქ ფოჯაში (აპულია) ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯა ქალაქის ხუთ მცხოვრებს. პიაჩენცაში დაპატიმრებულია ორი ძმა, რომელთა გვარი აღნიშნული არ არის.

ლეიბორისტული პარტიის კონფერენცია

ლონდონი, 17 ივნისი (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის კონფერენციის 15 ივნისის სხდომაზე იხილავდნენ საკითხს სოციალური დაზღვევის ბევერიჯის გეგმის შესახებ. ლეიბორისტული პარტიის აღმასკომმა შეიტანა წინადადება ამ გეგმის პრინციპულად მოღების შესახებ. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ედინბურგის ორგანიზაციის დელეგატებმა შეიტანეს აღმასკომის ამ წინადადების შესწორება, რომელიც „ჰგმობს მთავრობას გაუბედაობას და მოითხოვს, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოსცეს კანონები ბევერიჯის გეგმის შესაბამისად“. ამ შესწორების წინააღმდეგ გამოვიდა ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი არტურ გრინვუდი. მან განაცხადა, რომ ლეიბორისტი მინისტრები ყოველივე შესაძლებელს გააკეთებენ ბევერიჯის გეგმის განსახორციელებლად, მაგრამ მოუწოდებდა არ მიეცათ ხმა შესწორებისათვის, რომელიც ჰგმობს მთავრობის პოზიციას, ვინაიდან ასეთი ხმისმიცემა, მისი სიტყვით, იმას გამოიწვევდა, რომ ლეიბორისტ მინისტრები მთავრობის შემადგენლობიდან უნდა გამოსულიყვნენ. ედინბურგის ორგანიზაციის მიერ შეტანილი შესწორება უარყოფილ იქნა 1.795.000 ხმის უმეტესობით 955.000 ხმის წინააღმდეგ.

ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის თავმჯდომარედ კონფერენციამ აირჩია პარლამენტის წევრი ჯორჯ რიდლი, რომელიც პარტიის აღმასკომის წევრია 1936 წლიდან, ხოლო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე 1942 წლიდან. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე არჩეულია ელენ ვილკინსონი—შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრის საპარლამენტო მოადგილე.

უცხოეთის ქრონიკა

რუზველტმა მიიღო აბისინიაში ახლადდანიშნული დესპანი კელუეიდი. უახლოეს ხანში იგი ადის-აბებას გაემგზავრება.

* * *

ა. შ. შტატებში დაწყებულია ახალი ექვსთვლიანი სატვირთო მანქანების გამოშვება, რომელთაც შეუძლიათ მოძრაობა ხმელეთზე და წყლის დაბრკოლებათა გადალახვა.

* * *

ელზასის ბევრი მცხოვრები თავს არიდებს გერმანიის არმიაში მობილიზაციას და შვეიცარიაში გარბის. ქალაქ კაიზერბერგში გერმანელებმა სცადეს ძალით მოერეკათ ახალგაზრდობა გასაწვევ პუნქტში; მოსახლეობასა და პოლიციას შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება.

* * *

ჩრდილოეთ-აფრიკის მთელი კამპანიის განმავლობაში, ელ-ალამეინისათვის წარმოებული ბრძოლის დროიდან ბონის ნახევარკუნძულის ხელში ჩაგდებამდე, ინგლისის ფლოტის გემებმა და საზღვაო ავიაციის თვითმფრინაკებმა ხმელთაშუა ზღვაში ჩასძირეს ან დაზიანეს ღერძის სახელმწიფოთა 313 გემი.

* * *

შრომის ამერიკის ფედერაციის (შაფ) თავმჯდომარემ გრინმა განაცხადა, რომ მაღალროლთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა მიმართა მას თხოვნით ნება დართოს კვლავ შევიდეს შრომის ამერიკის ფიდერაციაში. გრინის სიტყვით შაფ-ის აღმასრულებელმა საბჭომ ეს თხოვნა დაამაყოფილა.

დანიელი პატრიოტები ყოველდღე ათობით დივერსიულ აქტებს ახდენენ. მაგალითად, სოფელ ვინგსტედში სულ მთლად დაიწვა საიზოლაციო მასალის ფაბრიკა. დიდი ხანძარი გაჩნდა აგრეთვე კოპენჰაგენის ერთ-ერთ გემსაშენში.

* * *

ჰოლანდიელი სტუდენტების 90 პროცენტმა უარი სთქვა ხელი მოეწერა გერმანელთა მიერ შედგენილ „დეკლარაციაზე“ ფაშისტ ხელისუფალთა მიმართ ლოიალობის შესახებ. ამის გამო 4 ათასი სტუდენტი გაგზავნეს იძულებითს სამუშაოებზე გერმანიაში.

* * *

ინგლისში მდებარე ბაზებიდან მოქმედმა ამერიკელთა თვითმფრინავებმა გერმანიაზე 18 თავდასხმის დროს ჩამოაგდეს მტრის 571 თვითმფრინავი, ალბათ მოსპეს 187 და დაზიანეს 231 მანქანა. ამერიკის ავიაციამ ამ ოპერაციებში 106 თვითმფრინავი დაჰკარგა.

* * *

15 აპრილიდან მოკავშირეთა სამხედრო-საჰაერო ძალებმა ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მტრის 685 თვითმფრინავი და მიწაზე მოსპეს 252 თვითმფრინავი. მოკავშირეთა ავიაციამ ამავე ხნის განმავლობაში 237 მანქანა დაჰკარგა. სამხედრო-საჰაერო ძალთა შეფარდებამ ხმელთაშუა ზღვის საომარ ასპარეზზე ამჟამად 3:1 მიაღწია მოკავშირეთა სასარგებლოდ. (საკდესი).

ქართული კინოკონცერტი

თბილისის კინოსტუდია უკვე შეუდგა მუშაობას და დგამს სრულმეტრაჟიან ფილმს „კინოკონცერტი“ გ. ლეონიძის, ს. დოლიძისა და დ. რონდელის სცენარით. ფილმის რეჟისორებია ს. დოლიძე და დ. რონდელი, მხატვრები—ს. ვირსალაძე და რ. სუტა, კომპოზიტორები—გ. კილაძე და ა. ბალანჩივაძე, ქორეოგრაფი—ვ. ჭაბუკიანი.

კინოკონცერტი სიუჟეტიანი ფილმია. სცენარს საფუძვლად უდევს ძველი ქართული ლეგენდა რაინდ ჯუტრღაიზე, რომლის შესახებ ხალხი მღერის:

ალაზნის ველზე ჰკიდია
ვაეის ჯუტრღაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი —
ხანდახან შასძვრის ქარიო.

ეს ღრმად პატრიოტული თემა, პოეზიით სავსე, კინოკონცერტს გმირულ-ეპიკურ